



# სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

16 დეკემბერი 2024



N 696/ს

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

### შპს „ვეროპეტროლის“ 19 591 მ<sup>3</sup> ტევადობის (30 000 მ<sup>3</sup> წლიური ტვირთბრუნვით) ნავთობბაზის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (ნავთობბაზის ტევადობის 12 817 მ<sup>3</sup>-მდე შემცირება) სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ვეროპეტროლის“ მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ქ. ქობულეთში, თავისუფლების ქ. №23ა-27ა-ში, შპს „ვეროპეტროლის“ 19 591 მ<sup>3</sup> ტევადობის (30 000 მ<sup>3</sup> წლიური ტვირთბრუნვით) ნავთობბაზის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (ნავთობბაზის ტევადობის 12 817 მ<sup>3</sup>-მდე შემცირება) სკრინინგის განცხადება.

2018 წლის 21 ნოემბერს, ქ. ქობულეთში, თავისუფლების ქ. №23ა-27ა-ში, შპს „ვეროპეტროლის“ 19 591 მ<sup>3</sup> ტევადობის (30 000 მ<sup>3</sup> წლიური ტვირთბრუნვით) ნავთობბაზის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებასა და წარმადობის გაზრდაზე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-937).

სკრინინგის განცხადების თანახმად, ნავთობბაზის ტერიტორიაზე გათვალისწინებული ექსპლუატაციის პირობების ცვლილება განხორციელებულია, შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოების მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, გადაეგზავნა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შპს „ვეროპეტროლის“ ნავთობბაზა განთავსებულია ქ. ქობულეთში, თავისუფლების ქ. №23ა-27ა-ში, კომპანიის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 20.42.07.402; 20.42.07.557; 20.42.07.548; 20.42.07.551; 20.42.07.553; 20.42.07.552; ჯამური ფართობი: 14 100 მ<sup>2</sup>). ნავთობბაზის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი/საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 72 მეტრით, ხოლო უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. აჭყვა, მიედინება დაახლოებით 138 მეტრში.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ნავთობბაზის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების ფარგლებში შემცირდა სარეზერვუარო პარკის ტევადობა და ნაცვლად გზმ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული ჯამურად 19 591 მ<sup>3</sup> ტევადობის სარეზერვუარო პარკისა, ობიექტზე განთავსდა ჯამურად 12 817 მ<sup>3</sup> ტევადობის სარეზერვუარო პარკი, რომლის შემადგენლობაში ნაცვლად 30 რეზერვუარისა, შედის 27 რეზერვუარი. აღნიშნული რეზერვუარებიდან 22 ერთეული (14 ერთეული – თითოეული 47 მ<sup>3</sup>; 2 ერთეული – თითოეული 400 მ<sup>3</sup>; 1 ერთეული – 63 მ<sup>3</sup>; 1 ერთეული – 223 მ<sup>3</sup>; 1 ერთეული – 226 მ<sup>3</sup>; 1 ერთეული – 404 მ<sup>3</sup>; 1 ერთეული – 541 მ<sup>3</sup>; 1 ერთეული – 2 300 მ<sup>3</sup>) განკუთვნილია ბენზინის საწვავისათვის, ხოლო 5 ერთეული (2 ერთეული – თითოეული 1000 მ<sup>3</sup>, 1 ერთეული – 222 მ<sup>3</sup>, 1 ერთეული – 2000 მ<sup>3</sup> და 1 ერთეული – 3380 მ<sup>3</sup>) – დიზელის საწვავისათვის. ნავთობბაზის წლიური ტვირთბრუნვა დარჩა უცვლელი, რაც შეადგენს 30 000 მ<sup>3</sup>-ს (ბენზინი – 7 000 მ<sup>3</sup> და დიზელი – 23 000 მ<sup>3</sup>).

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ნავთობპროდუქტები ტერიტორიაზე შედის რკინიგზის ესტაკადიდან, ვაგონცისტერნებით. ობიექტზე შეტანილი ნავთობპროდუქტები, სატუმბი სადგურის საშუალებით, იტვირთება სარეზერვუარო პარკში. სატუმბ სადგურში განთავსებულია სამი ტუმბო,

საიდანაგ ორი ერთეული (თითოეული 150 მ<sup>3</sup>/სთ) განკუთვნილია ბენზინის და დიზელის საწვავის მისაღებად, ხოლო ერთი – წარმოდგენს სარეზერვოს და გამოიყენება ძირითადი ტუმბოების დაზიანების შემთხვევაში. გამცემ სატუმბ სადგურში განთავსებულია ორი ტუმბო (თითოეული 40 მ<sup>3</sup>/სთ), რომლებიც განკუთვნილია ბენზინისა და დიზელის საწვავის გაცემისთვის.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ნავთობბაზის ექსპლუატაციის ეტაპზე წყალი გამოიყენება სასმელ-სამეურნეო, ტექნიკური და საჭიროების შემთხვევაში, ასევე, სახანძრო დანიშნულებით. ობიექტის წყლით მომარაგება ხორციელდება შპს „ქობულეთის წყალის“ ცენტრალური მილსადენიდან. ტექნიკური და სახანძრო დანიშნულებით საჭირო წყლის დასაგროვებლად ნავთობბაზის ტერიტორიაზე მოწყობილია 750 მ<sup>3</sup> მოცულობის წყლის რეზერვუარი. ობიექტზე წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები გროვდება ბეტონის ამოსაწმენდ ორმოში, რომლის დაცლა ხორციელდება საჭიროებისამებრ, საასენიზაციო მანქანის საშუალებით. ნავთობბაზის ტერიტორიაზე წარმოქმნილი საწარმოო-სანიაღვრე ჩამდინარე წყლები იკრიბება ნავთობდამჭერ სალექარში, რომელიც წარმოდგენილია სამი სექციით, მიმღები ჭითა და ქვიშა-ხრეშოვანი ფილტრით, ხოლო ჩამდინარე წყლების გამწმენდის ეფექტურობა შეადგენს: შეწონილი ნაწილაკები 60 მგ/ლ-ს და ნავთობპროდუქტები 0.3 მგ/ლ-ს. გაწმენდის შემდგომ, გაწმენდილი წყალი ჩაედინება მდ. აჭყვამში (წყალჩაშვების წერტილის GPS კოორდინატები: X-731419,33, Y-4633413,61).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ნავთობბაზის ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი აქვს მავნე ნივთიერებების წარმოქმნას და მათ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას. დოკუმენტში, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, წარმოდგენილია ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებების გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები, ასევე, აღნიშნული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები. გაზნევის გაანგარიშების შედეგების თანახმად, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების კონცენტრაცია დასახლებულ პუნქტთან/საცხოვრებელ სახლთან, ისევე როგორც 500 მეტრიან ნორმირებულ საზღვარზე არ აჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ ნორმებს. ამასთან, დოკუმენტში ასევე წარმოდგენილია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების კონცენტრაციების გაზომვის აქტი, რომლის შესაბამისად, გაზომვები ჩატარდა 3 საკონტროლო წერტილში. მიღებული შედეგების შესაბამისად, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების კონცენტრაციების გადაჭარბება არ დაფიქსირდა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით განხორციელდა მხოლოდ ნავთობბაზის ტევადობის შემცირება და წლიური ტვირთბრუნვა დარჩა უცვლელი, ნავთობბაზის ფუნქციონირება არ უკავშირდება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელოვან ცვლილებას.

სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია ნავთობბაზის ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ხმაურის გავრცელების გაანგარიშების შედეგები, რომლის თანახმად, უახლოეს დასახლებულ პუნქტთან/საცხოვრებელ სახლთან მოსალოდნელი ხმაურის დონე შეადგენს 35 დბა-ს. ამასთან, დოკუმენტში ასევე მოცემულია ატმოსფერულ ჰაერში ხმაურის დონის გაზომვის აქტი, სადაც წარმოდგენილია უახლოეს დასახლებულ პუნქტთან/საცხოვრებელ სახლთან ხმაურის ინსტრუმენტული გაზომვის შედეგები. აღნიშნული შედეგების მიხედვით, უახლოეს დასახლებულ პუნქტთან/საცხოვრებელ სახლთან მიღებული ხმაურის დონე არ აჭარბებს 34 დბა-ს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნავთობბაზის ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ უკავშირდება ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელოვან ცვლილებას.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ნავთობბაზის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვა ხორციელდება კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმით, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან. ამასთან, კომპანია გეგმავს განახლებული ნარჩენების მართვის გეგმის შეთანხმებას.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ნავთობბაზა არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული სახეობები. ექსპლუატაციის

პირობების ცვლილება განხორციელდა არსებული ნავთობბაზის ანთროპოგენურად სახეცვლილ ტერიტორიაზე, სადაც ჩამოყალიბებულია ტექნოგენური ლანდშაფტი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ნავთობბაზიდან 500 მეტრის რადიუსში მსგავსი პროფილის ობიექტ(ებ)ი არ ფუნქციონირებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ უკავშირდება კუმულაციურ ზემოქმედებას.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სპეციფიკისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, ნავთობბაზის ექსპლუატაცია არ უკავშირდება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელოვან ცვლილებას.

**ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე:**

#### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ შპს „ევროპეტროლის“ 19 591 მ<sup>3</sup> ტევადობის (30 000 მ<sup>3</sup> წლიური ტვირთბრუნვით) ნავთობბაზის ექსპლუატაციის პირობების ცვლილება (ნავთობბაზის ტევადობის 12 817 მ<sup>3</sup>-მდე შემცირება) არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ევროპეტროლი“ ვალდებულია, საქმიანობა განახორციელოს 2018 წლის 21 ნოემბერს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-937) განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით;
3. შპს „ევროპეტროლი“ ვალდებულია, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 2 თვის ვადაში, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს განახლებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების (ზდგ) პროექტის სააგენტოსთან შეთანხმება, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;
4. შპს „ევროპეტროლი“ ვალდებულია, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 2 თვის ვადაში, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს განახლებული ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების (ზდგ) პროექტის სააგენტოსთან შეთანხმება, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს სააგენტოსთან შეთანხმებული ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების დაცვა;
5. შპს „ევროპეტროლი“ ვალდებულია, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 2 თვის ვადაში, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს განახლებული გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის შემუშავება და სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც გათვალისწინებული იქნება უახლოეს დასახლებულ პუნქტთან/საცხოვრებელ სახლთან ატმოსფერული ჰაერის და ხმაურის ინსტრუმენტული მონიტორინგი (მონიტორინგის წერტილების კოორდინატების, სიხშირისა და მონიტორინგის შედეგების სააგენტოში წარმოდგენის პერიოდის მითითებით);
6. შპს „ევროპეტროლი“ ვალდებულია, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 2 თვის ვადაში, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს განახლებული ნარჩენების მართვის გეგმის სამინისტროსთან შეთანხმება;

7. შპს „ევროპეტროლისთვის“ ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს 2018 წლის 21 ნოემბერს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-937) განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა;
8. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ევროპეტროლს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
9. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ევროპეტროლის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
10. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/696-21-4-202412161549>

